პროექტი

# საქართველოს კანონი

## „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (სსმ №13(20), 1999 წელი, მუხ. 52) $2^1$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $2^1$. ქონებრივი შეზღუდვა**

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ქონება არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებას და სეკვესტრს.“.

**მუხლი 2**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი